დადგენილება:**დ-31. 3126092001**
თარიღი:**02/04/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №9

2026 წლის 2 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N 16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილების (ვებგვერდი 25/08/2023 წელი, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.112.016519) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2**.** ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) 8-დან12 წლამდე სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებს შორის:

ა.ა) 8 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი - 350 ლარი; II ადგილი - 250 ლარი; III ადგილი - 150 ლარი;

ა.ბ) 10 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი - 350 ლარი; II ადგილი - 250 ლარი; III ადგილი - 150 ლარი;

ა.გ) 12 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი - 350 ლარი; II ადგილი - 250 ლარი; III ადგილი - 150 ლარი;

ბ) ღია ტურნირის სხვადასხვა კატეგორიას შორის:

ბ.ა) ღია კატეგორიას შორის: I ადგილი - 950 ლარი; II ადგილი -800 ლარი; III ადგილი - 700 ლარი; IV ადგილი - 600 ლარი; V ადგილი - 500 ლარი, VI ადგილი - 400 ლარი; VII ადგილი - 350 ლარი, VIII ადგილი - 300 ლარი; IX ადგილი - 250 ლარი, X ადგილი - 200 ლარი;

ბ.ბ) ქალთა შორის: I ადგილი - 500 ლარი; II ადგილი - 400 ლარი; III ადგილი - 350 ლარი.

ბ.გ) 16 წლამდე ღია: I ადგილი - 410 ლარი;

ბ.დ) 16 წლამდე გოგოებს შორის: I ადგილი - 400 ლარი;

ბ.ე) 14 წლამდე ღია: I ადგილი - 390 ლარი;

ბ.ვ) 14 წლამდე გოგოებს შორის: I ადგილი - 380 ლარი;

ბ.ზ) სენიორები(01.01. 1965 წლამდე დაბ.): I ადგილი - 350 ლარი; II ადგილი - 300 ლარი, III ადგილი - 100 ლარი;

ბ.თ) ურეიტინგო მოთამაშეები: I ადგილი - 300 ლარი; II ადგილი - 200 ლარი ,III ადგილი - 100 ლარი,.

გ) მწვრთნელთა შორის: I ადგილი - 500 ლარი, II ადგილი - 400 ლარი, III ადგილი - 350 ლარი, IV ადგილი - 300, V ადგილი - 250 ლარი.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი